ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032411575-03
თარიღი: 24.04.2024 20:31
ვადა: 24.05.2024

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01241153830 განცხადების თარიღი: 24.04.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკითხის განსახილველად წარდგენა (13-42)

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032411575-03
24.04.2024 : 20:31
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01241153830**
თარიღი: **24/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N24.690.803 განკარგულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტის პროექტს.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.690.803
24 / აპრილი / 2024 წ.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „ბ.ა", „ე.თ" და „ე.კ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2024 წლის --------- **ქ. თბილისი**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/02/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს:

ა.ა) „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]" ქვეპუნქტი:

„ბ[1]) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფართობის გაზრდა დაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების გზით;";

ა.ბ) „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]" ქვეპუნქტი:

„დ1") „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან

დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება.

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზურუნველყოფის სამმართველო;";

გ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საარქივო საქმიანობის წარმართვა - საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტების აღრიცხვა, დამუშავება და არქივისათვის გადაცემა, საიდუმლო დოკუმენტების დაცვისა და ბრუნვის უზრუნველყოფა;

ბ) სააგენტოს მიერ გამოცემული, ასევე დელეგირების საფუძველზე სააგენტოში დაცული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლების დამოწმების უზრუნველყოფა;

გ) სამსახურში განსახილველად შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა, მათი შესრულებისა და ვადების კონტროლი;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენის მიზნით, სააგენტოს მიერ ინიცირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ასატვირთად ტექნიკური და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

ე) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება;

ვ) სააგენტოს უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების, გათავისუფლების, გადაყვანის, შვებულების, მივლინების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

ზ) სააგენტოს თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადების და გაფორმების უზრუნველყოფა;

თ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოება;

ი) სააგენტოს შრომის შინაგანაწესის პროექტის შემუშავება და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. სააგენტოში არსებული თანამდებობებისთვის სამუშაოს აღწერილობის შემუშავება/განახლება;

კ) სააგენტოში სტაჟირების, პრაქტიკის გავლისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) სააგენტოში შეფასებისა და კონკურსების ორგანიზება;

მ) სააგენტოში არსებული მოტივაციისა და წახალისების სისტემის ანალიზი, თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის სრულყოფის წინადადებების შემუშავება, დანერგვა და განხორციელების კონტროლი;

ნ) სააგენტოს მიერ ინიცირებული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ო)სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

პ) სააგენტოს უფროსის ან სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ჟ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.";

დ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შემდეგ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]", „თ[2]" და „თ[3]" ქვეპუნქტები:

თ[1]) „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

თ[2]) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება.

თ[3]) „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სააგენტოში გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში, კონტრაჰენტების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი, ასევე, შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში კონტრაჰენტების მიერ წარმოდგენილი განცხადებების, მათ შორის, შესაბამისი უძრავი ქონების იპოთეკით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით დატვირთვის თაობაზე საკითხის განხილვა და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2024 წლის --------- **ქ. თბილისი**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 21/02/2018წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და დადგენილებით დამტკიცებულის წესის:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს:

ა.ა) „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]" ქვეპუნქტი:

„ბ[1]) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფართობის გაზრდა დაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების გზით;";

ა.ბ) „დ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ[1]" ქვეპუნქტი:

„დ1") „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან

დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება.

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზურუნველყოფის სამმართველო;“;

გ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საარქივო საქმიანობის წარმართვა - საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტების აღრიცხვა, დამუშავება და არქივისათვის გადაცემა, საიდუმლო დოკუმენტების დაცვისა და ბრუნვის უზრუნველყოფა;

ბ) სააგენტოს მიერ გამოცემული, ასევე დელეგირების საფუძველზე სააგენტოში დაცული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლების დამოწმების უზრუნველყოფა;

გ) სამსახურში განსახილველად შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა, მათი შესრულებისა და ვადების კონტროლი;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენის მიზნით, სააგენტოს მიერ ინიცირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ასატვირთად ტექნიკური და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

ე) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება;

ვ) სააგენტოს უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების, გათავისუფლების, გადაყვანის, შვებულების, მივლინების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

ზ) სააგენტოს თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადების და გაფორმების უზრუნველყოფა;

თ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოება;

ი) სააგენტოს შრომის შინაგანაწესის პროექტის შემუშავება და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. სააგენტოში არსებული თანამდებობებისთვის სამუშაოს აღწერილობის შემუშავება/განახლება;

კ) სააგენტოში სტაჟირების, პრაქტიკის გავლისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) სააგენტოში შეფასებისა და კონკურსების ორგანიზება;

მ) სააგენტოში არსებული მოტივაციისა და წახალისების სისტემის ანალიზი, თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის სრულყოფის წინადადებების შემუშავება, დანერგვა და განხორციელების კონტროლი;

ნ) სააგენტოს მიერ ინიცირებული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ო)სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

პ) სააგენტოს უფროსის ან სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ჟ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.";

დ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შემდეგ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის „თ[1]", „თ[2]" და „თ[3]" ქვეპუნქტები:

თ[1]) „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

თ[2]) კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება.

თ[3]) „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებული პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სააგენტოში გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში, კონტრაჰენტების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი, ასევე, შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში კონტრაჰენტების მიერ წარმოდგენილი განცხადებების, მათ შორის, შესაბამისი უძრავი ქონების იპოთეკით ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით დატვირთვის თაობაზე საკითხის განხილვა და ამ მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 14 დეკემბრის N23.1928.2146 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N600 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - **„სააგენტო"**) დაიწყო რეორგანიზაცია და დაევალა სააგენტოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილების (შემდგომში - **„დებულება"**) საფუძველზე სააგენტოს ფუნქციებად განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციის უზრუნველყოფა და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება და უძრავი ქონების საზღვრების ცვლილება-კორექტირება (ფართობის შემცირებით), ხოლო რაც შეეხება ფართობის უცვლელად უძრავი ქონების საზღვრების ცვლილება-კორექტირებას სააგენტო აღნიშნულს ახორციელებს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე. დებულების არსებულ რედაქციაში სააგენტოს ფუნქციების ფორმულირების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც სააგენტო ახდენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდას, მათ შორის დაურეგისტრირებელი ტერიტორიის მოძიების და დარეგისტრირების საშუალებით, ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია ჯერ დაარეგისტრიროს დაურეგისტრირებელ უძრავ ქონებაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება და შემდგომ მოახდინოს უკვე რეგისტრირებულ მონაცემში ცვლილება და გაერთიანების შედეგად გაზარდოს უძრავი ქონების ფართობი, რაც მოითხოვს არაგონივრული დროისა და რესურსების ხარჯს. შესაბამისად, მიზანშეწონილია სააგენტოს ფუნქციების ნაწილში დებულებაში ჩაემატოს ისეთი რეგულაცია, რომელიც სააგენტოს მისცემს შესაძლებლობა ერთდროულად მოახდინოს დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია და სწორედ ამ ტერიტორიის ხარჯზე უკვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართობის გაზრდა. შესაბამისად, დებულების მეორე მუხლის მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „ბ[1]" პუნქტი:

„ბ1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფართობის გაზრდა დაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციისა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების გზით.

გარდა ამისა, დებულების მე-6 მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შედის: ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველო, საფინანსო და მომსახურების სამმართველო და სანებართვო სამმართველო. ასევე, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამსახურის „ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს შემდეგ უფლებამოსილებებს“:

ა) საქმისწარმოების შიდა წესების მომზადება, ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში საიდუმლო დოკუმენტების დაცვისა და ბრუნვის უზრუნველყოფა, სააგენტოში დაცული დოკუმენტების საარქივოდ დამუშავება;

ბ) სააგენტოს მიერ გამოცემული და სააგენტოში დაცული, აგრეთვე, დელეგირების საფუძველზე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლების დამოწმების უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება;

დ) სააგენტოს უფროსის აქტების პროექტების მომზადება თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების, გათავისუფლების, გადაყვანის, შვებულების, მივლინების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

ე) სააგენტოს თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადების და გაფორმების უზრუნველყოფა;

ვ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოება;

ზ) სააგენტოს შრომის შინაგანაწესის პროექტის შემუშავება და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. სააგენტოში არსებული თანამდებობებისთვის სამუშაოს აღწერილობის შემუშავება/განახლება;

თ) სააგენტოში სტაჟირების, პრაქტიკის გავლისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა;

ი) სააგენტოში შეფასებისა და კონკურსების ორგანიზება;

კ) სააგენტოში არსებული მოტივაციისა და წახალისების სისტემის ანალიზი, თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის სრულყოფის წინადადებების შემუშავება, დანერგვა და განხორციელების კონტროლი;

ლ) სააგენტოს ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

მ) სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

ნ) სააგენტოს უფროსის ან სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ო) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება

ზემოაღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად სააგენტოში ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნული ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სააგენტოს დებულებაში შედის შემდეგი ცვლილებები. კერძოდ, იცვლება ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში შემავალი „ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამმართველოს“ სახელწოდება და განისაზღვრება შემდეგნაირად „ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო“. ამასთან, იცვლება, მითითებული სამმართველოს უფლებამოსილებები, კერძოდ უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნება ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და მოძრაობის უზრუნველყოფა და დარჩენილ უფლებამოსილებებს ემატება სამსახურში განსახილველად შემოსული, კონტროლზე აყვანილი დოკუმენტების აღრიცხვა, მათი შესრულების კონტროლი და ანალიზი შესაბამისი ვადების მიხედვით, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ ინიცირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ასატვირთად ტექნიკური და და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის დებულების მე-6 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამსახურის შემადგენლობაში და მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამმართველოს სახელწოდებასა და ამავე სამმართველოს უფლებამოსილებებში, კერძოდ:

1.) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

ა) ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზურუნველყოფის სამმართველო;

2.) მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

,,1. ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საარქივო საქმიანობის წარმართვა - საქმისწარმოების დასრულებული დოკუმენტების აღრიცხვა, დამუშავება და არქივისათვის გადაცემა, საიდუმლო დოკუმენტების დაცვისა და ბრუნვის უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს მიერ გამოცემული, ასევე დელეგირების საფუძველზე სააგენტოში დაცული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლების დამოწმების უზრუნველყოფა;

გ) სამსახურში განსახილველად შემოსული დოკუმენტების აღრიცხვა, მათი შესრულებისა და ვადების კონტროლი;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე წარდგენის მიზნით, სააგენტოს მიერ ინიცირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში ასატვირთად ტექნიკური და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება;

ე) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავება;

ვ) სააგენტოს უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების, გათავისუფლების, გადაყვანის, შვებულების, მივლინების, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ და სხვა სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით;

ზ) სააგენტოს თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების პროექტების მომზადების და გაფორმების უზრუნველყოფა;

თ) სააგენტოს თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და შესაბამისი დოკუმენტების აღრიცხვა-წარმოება;

ი) სააგენტოს შრომის შინაგანაწესის პროექტის შემუშავება და შრომის დისციპლინის დაცვაზე კონტროლის განხორციელება. სააგენტოში არსებული თანამდებობებისთვის სამუშაოს აღწერილობის შემუშავება/განახლება;

კ) სააგენტოში სტაჟირების, პრაქტიკის გავლისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) სააგენტოში შეფასებისა და კონკურსების ორგანიზება;

მ) სააგენტოში არსებული მოტივაციისა და წახალისების სისტემის ანალიზი, თანამშრომელთა მოტივაციისა და წახალისების სისტემის სრულყოფის წინადადებების შემუშავება, დანერგვა და განხორციელების კონტროლი;

ნ) სააგენტოს მიერ ინიცირებული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება;

ო)სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

პ) სააგენტოს უფროსის ან სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ჟ) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.“

;ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რასაც სააგენტო ახორციელებს დღევანდელი მდგომარეობით, თუმცა მითითებული ფუნქცია არ არის განსაზღვრული დებულებაში და მოცემული ცვლილების შედეგად დებულების მეორე მუხლით განსაზღვრულ სააგენტოს ფუნქციებს

ემატება შემდეგი შინაარსის „დ[1]“ პუნქტი: „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება, მათ შორის, შესაბამის ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება და გამარჯვებული პირების გამოვლენა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების/შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონებით უზრუნველყოფის თაობაზე სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებების განხილვა და შესაბამისი კორესპონდენციის წარმოება.

ასევე, რადგან ზემოაღნიშნული საკითხის ორგანიზებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას უზრუნველყოფს სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო აღნიშნული უფლებამოსილებები ცალკე ქვეპუნქტებად ჩაემატება მითითებული სამმართველოს უფლებამოსილებებს, რომელიც დადგენილია დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტით.

აღსანიშნავია, რომ მითითებული ცვლილებები განპირობებულია სააგენტოს სტრუქტურის განახლების, სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის აუცილებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში მითითებული ცვლილებების შეტანას.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.